შპს “თბილისი ჯგუფი”

ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი

შპს “თბილისი ჯგუფის” დირექტორი ირაკლი ჭეიშვილი

პროექტის ავტორი დავით ნაკაშიძე

შეასრულა დავით ნაკაშიძე

თბილისი 2019 წ.

ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი

1. დასანგრევი შენობის აღწერილობა:

დასანგრევი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში ლადო ასათიანის ქ. № 22 ში შენობა წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს, მასზე მიშენებული სათავსოებით. ობიექტი აშენებულია მე 19 საუკუნის ბოლოს. შენობის ძირითადი ნაწილი განთავსებულია რთულ რელიეფზე, ასათიანის ქუჩის მხრიდან შენობა სამსართულიანია, საძირკველი ლენტური ტიპისაა, ძირითად მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს გრძივი და განივი კედლები, შენობა ნაგებია აგურით, წვრილი სამშენებლო ბლოკითა და "ბაგდადჯის" ტიხრებით. ობიექტზე სხვადასხვა წლებში განხორციელებული რეკონსტრუქციისას გამოყენებულია, როგორც აგური ასევე სამშენებლო ბლოკი, სართულშუა გადახურვები ძირითადად ხის კონსტრუქციისაა, ხის კონსტრუქციისაა შენობის ქანობიანი სახურავი რომელიც დახურულია თუნუქის ფურცლებით. შენობა ხანდაზმული და ამორტიზებულია. კედლებზე შეიმჩნევა ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბზარები იატაკი დეფორმირებულია.

პროექტით გათვალისწინებულია მიწის ნაკვეთზე განთავსებული ყველა შენობის დანგრევა, კერძოდ ინგრევა შენობები საკადასტრო ნომრით; 1/1, 2/1, 3/3, 5/1, 4/1, 6/1

შენობა ნაგებობები არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. თუმცა შენობა № 3/3 სარდაფში განთავსებულია ღრმა თალოვანი სარდაფი, რომლის დანგრევა არ იგეგმება და შენობების დემონტაჟისას მოხდება მისი შენარჩუნება (დაკონსერვება), სარდაფის შემდგომი ფუნქციონირება გათვალისწინებული იქნება პროექტირებისას, ასაშენებელი შენობასთან ერთობლიობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ შენობის დემონტაჟისას ტერიტორიაზე არსებული ხე ნარგავების მოჭრა ან გადარგვა არ იგეგმება. ასევე მშენებლობისას არ უნდა მოხდეს მათი დაზიანება.

2. დასანგრევი შენობის ტექნიკურ ეკონომიური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი----------1597 კვმ.
სადემონტაჟო შენობის საერთო ფართობი---------954.3 კვმ.

სამშენებლო მოცულობა----------3 134 კვმ.
0.00 ნიშნულის ზევით---------- 3 000 კუბ.მ
0.00 ნიშნულის ქვევით---------- 134 კუბ.მ

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე----------15.2 მ.
0.00 ნიშნულის ზევით---------- 13.4 მ.
0.00 ნიშნულის ქვევით----------1.8 მ.

3. შენობის დანგრევის კალენდარული გრაფკი

მოცემული დასანგრევი სამუშაოთა რაოდენობა-მოცულობების გათვალისწინებით შედგენილია დანგრევის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 5 თვეზე გათვლით სამუშაოთა პერიოდები 5, 10, 15 და ა.შ. დღეები მიღებულია პირობითად

კალენდარული გრაფიკი T=5 თვე



3. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები

3.1. შედგენილი დოპ-ი საინჟინრო მომზადება ითვალისწინებს სნ და 3.01-01-85 " დანგრევის წარმოების ორგანისაცია" მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით

3.2. დანგრევის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტსნდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

3.3. სამუშაოთა დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო დებართვის აღების შემდეგ. ქუჩისა და სამეზობლო გვერდების მხრიდან აუცილებელია დასანგრევი ტერიტორიის შემოჯავება დროედითი ღობის მოწყობით.

3.4. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დანგრევის სამუშაოების წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

3.5. შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპზე და მათ წარმართვაზე უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო თავებში.

3.6. სამუშაოები უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

4. დაშლა-დანგრევის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

4.1. შენობა ნაგებობათა დაშლის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

4.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ფირმამ დანგრევის სამუშაოთა წარმოების დროს;

-სნ და წ. 111-17-78 "ქვის კონსტრუქციები";
-სნ და წ. 111-19-81 "ხის კონსტრუქციები";
-ჰნ 03.01.-09 "ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები";
-ჰნ 01.05-08 "სამშენებლო კლიმატოლოგია".

-სნ და წ. 111-20-74 "ბურულები და ჰიდროიზოლაცია ორთქლიზოლაცია და თბოიზოლაცია";

-სნ და წ. 111-3-14-78 "იატაკები";

-სნ და წ. 111-30-79 "წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები";

-სნ და წ. 111-33-79 "ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";

-სნ და წ. 111-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";

სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

-სნ და წ. 1.06.05-85 "მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა";

-ინსტრუქცია 'სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ';

4.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც;

-გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;

-წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

-მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.

-ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №12.18.243 (6.05.2006 წელი.) ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მიწის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

4.4. გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის ალების და ჩაშვების, ნახაზების უტილიზაციის, ხმაურის და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებითაც აუცილებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

4.5. ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლების ალება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

4.6. ჯანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის ჯონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდართებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

4.7. მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ ჯანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა ჯლასიფიჯაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საჯითხებს. მაგალითად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნჯერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოჯიდებულია სამშენებლო-სარეჯონსტრუქციო სამუშაოების მტვერშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანაზე დაყრის შემდეგ მას აუცილებლად გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისგან ან მყარი მასალისგა.

5. რეჯომენდაციები დასანგრევ-დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციაზე

5.1. შენობა- ნაგებობათა დანგრევის წინ საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობით საჭიროა წყალსადენის, ჯანალიზაციის, გაზსადენის, ელექტროქსელის და სხვათა ჩახსნა რაიონის საინჟინრო ჯომუნიჯაციების სამსახურებთან სათანადო აქტების გაფორმებით.

5.2. არსებული შენობების დაშლის პარალელურად უნდა მოხდეს საძირჯვლის ამოღებაც.

5.3. დასაშლელია საპროექტო მიწის ნაჯვეთზე განთავსებული ყველა შენობა-ნაგებობა, ჯერძოდ დასაშლელია ძირითადი შენობა საჯ. ნომრით 3/3 და მასზე მიშენებული ერთსართულიანი შენობა ნაგებობები საჯ. ნომრით 1/1, 2/1, 4/1, 5/1, და 6/1. შენობა 3/3 წარმოადგენს სამსართულიანს სარდაფით საძირჯველი ლენტური ტიპისაა, შნობა დახურულია ხის ჯონსტრუქციის ქანობიანი სახურავით.

5.4. დასანგრევი შენობების სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე ხელის სამშენებლო იარალებით ადვილადაა შესაძლებელი შენობა ნაგებობების დანგრევა, მობილური ამწის გარეშეც.

5.5. დაშლის I ეტაპზე საჭიროა შენობების შიგთავსის გამოთავისუფლება შიდა საჯომუნიჯაციო ქსელებისგან, ჯარ-ფანჯრების მოხსნა, მათი ეზოში შეგროვება, თვითმცლელზე დატვირთვა და ნაგვის გატანა.

5.6. მეორე ეტაპია სახურავის დაშლა.

5.7. შენობა სარტყელის გარეშეა, ამდენად მესამე ეტაპია ჭერის გადახურვის, ხის ჯოჯების მოხსნა, და III სართულზე არსებული ტიხრებისა და ჯედლების დაშლა სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით. ტიხრებისა და ჯედლების დაშლა განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს და მოითხოვს თვითჩამოშლის ღონისძიებების დაცვასთან ერთად მომუშავეთა უსაფრთხოების დაცვასაც. ჭერის, სართულშუა გადახურვის და ჯედლების ზედა იარუსების მოსახსნელად საჭიროა მაგიდისებური სადგამების მომარაგება და გამოყენება. ჯედლებთან ერთად აგრეთვე ფანჯრებისა და კარის ზღუდარებიც იხსნება. სასურველია მათი დაშლისთანავე ავტოთვითმცლელის ძარებში ჩაყრა ნაგვის იმავდროული ტრანსპორტირების მიზნით. ქვედა სართულებზე დაშლის სამუშაოების დაწყება დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დასრულდება ზედა სართულის მთლიანად დაშლა.

4.8. მეოთხე ეტაპია ლენტური საძირკვლების დაშლა-დანგრევა, რაც ასევე საჭიროებს სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებას.

4.9. აღნიშნულ სამუშაოთა დასრულების შემდგომ უნდა მოხდეს ტერიტორიიდან ნაგვის გატანა დასუფთავება.

4.10. დანგრევის სამუშაოთა შესრულების პერიოდში აუცილებელია შრომის, ელექტრო, ხანძარსაფრთხოებისა და ბუნების დაცვის ღონისძიებების გატარება.

6. მანქანა-მექანიზმების შერჩევა

6.1. დანგრევის სამუშაოთა წარმოების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სხვდასხვა მანქანა-მექანიზმები, დანადგრები და ინსტრუმენტები, რომელთა რეკომენდებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში. ცხადია ცხრილით რეკომენდებული მანქანა-დანადგარები შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი, შენობის დამშლელი ორგანიზაციის შესაძლებლობიდან და ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე.

ცხრილი

№	დასახელება	მარკა	რაო დენ. ცალი
1	2	3	4
1.	„ბოლგარკის“ ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	1
2.	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპლ.	2
3.	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1
4.	სანგრევი ჩაქუჩები	-	1
5.	ავტოგენური საჭრელი აპარატები	კომპლ.	1
6.	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	სხვადა-სხვა	1
7.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ	4
8.	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით 1X2 და სიმაღლით 2 მეტრი	ცალი	2
9.	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	НП-4602	1
10.	პერფორატორები	П-47	1
11.	ჰიდრავლიკური დომკრატი, ტვირთამწეობით 10ტ-მდე	ДГ-100-2	1
12.	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	ТП-66Е	1
13.	ვიბროსამსხვრევი	С-47614	1
14.	ელექტრომაგნიტური ბურღი	კომპლ.	1
15.	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები	-	2

7. მომუშავთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

7.1. მომუშავთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

7.2. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნილოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

7.3. ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

7.4. აუცილებელი პირობაა: კონსტრუქციათა დაშლის პერიოდში მის სიახლოვეს 6 მეტრის რადიუსით არ უნდა იმყოფებოდეს ჩაჭრის ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეები.

7.5. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი და სხვა მექანიზმების გამოყენებაც.

7.6. დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით).

7.7. დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

7.8. დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხო-ების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირები.

8. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

8.1 გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალ-წლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

8.2 კედლების, ტიხრების, იატაკების დაშლის პროცესში მოსა-ლოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა ანდა სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.

8.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

8.4. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეო-ბაში რეკომენდებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.

9. დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა

9.1. კრებული - სამახსოვრო ქართულ ენაზე - მომქმედი სამშენებ-ლო წარმოების ნორმებისა და წესების ამონაკრები, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი 1987 წ.

9.2. რ. მახვილაძე, დ. ბუჩუკური, ი. გოგოლაძე, დ. ჭელიშვილი, ნ. ქარქაშაძე – საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი, თბილისი, 2007 წ

9.3. შ. ბაქანიძე, მ. ლორთქიფანიძე , რ. მახვილაძე – ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე. თბილისი, 2006 წ

9.4. СНиП 3.01.01.85* „Организация строительного производства”, М. 1989г. 9.5. СНиП III-4-80* „Техника безопасности на строительстве” , М. 1988г 9.6. Л. Зайцев, И. Улитенко „Строительные стреловые самоходные краны”, М. 1984г. 9.7. Справочник мастера - строителя , М. 1989 г.

ავტოთვითმცლელების და სამშენებლო მანქანა-მექანიზმების სვლა-გეზი ასათიანის ქუჩიდან



სამშენებლო გენგეგმა მ 1:500



განმარტება:

პროექტის მიხედვით დემონტაჟი ხორციელდება მწვანე დარგავების დაუზიანებლად

ექსპლიკაცია:

1. დასანგრევი შენობა-ნაგებობები
2. სამუშაოთამწარმოებლის ოთახი
3. დროებითი ჯვების ოთახი
4. დროებითი საინვენტარო
5. ღია სასაწყობო მოედანი
6. დროებითი საფარიანი ღობე
7. დროებითი საფარიანი ჭიშკარი
8. ავტოტრანსპორტის ბორბლების სარეცხი მოედანი

0 სართულის გეგმა მ 1:100



"თბილისიჯგუფი" ბარნოვის ქ. № 71 info@tbilisigroup.ge 322 400 660	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი		
	დირექტორი	[signature]	ნ. ჭეიშვილი			
	აზომვა შეასრულა		ი. დავლიანიძე	არქიტექტურული ნაწილი	დაკვეთა №	
			ე. რატიშვილი		სტადია	
				0 სართულის გეგმა	მასშტაბი	1:100
					ფურც. რაოდ.	11
					ფურცელი	ან-2

I სართულის გეგმა მ 1:200



"თბილისიჯგუფი" ბარნოვის ქ. № 71 info@tbilisigroup.ge 322 400 660	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი	
	დირექტორი		ნ. ჭეიშვილი		
	აზომვა შეასრულა		ი. დავლიანიძე	ანაზომი	დაკვეთა №
			ე. რატიშვილი		სტადია
				I სართულის გეგმა	მასშტაბი 1:200
					ფურც. რაოდ. 11
					ფურცელი ან-3

II სართულის გეგმა მ 1:200



"თბილისიჯგუფი" ბარნოვის ქ. № 71 info@tbilisigroup.ge 322 400 660	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი		
	დირექტორი		ნ. ჭეიშვილი			
	აზომვა შეასრულა		ი. დავლიანიძე	ანაზომი	დაკვეთა №	
			ე. რატიშვილი		სტადია	
				II სართულის გეგმა	მასშტაბი	1:200
					ფურც. რაოდ.	11
					ფურცელი	ან-4

სახურავის გეგმა მ 1:200



"თბილისიჯგუფი" ბარნოვის ქ. № 71 info@tbilisigroup.ge 322 400 660	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი	
	დირექტორი		ნ. ჭეიშვილი		
	აზომვა შეასრულა		ი. დავლიანიძე	ანაზომი	დაკვეთა №	
			ე. რატიშვილი		სტადია	
				სახურავის გეგმა	მასშტაბი	1:200
					ფურც. რაოდ.	11
					ფურცელი	ან-5

ჭრილი 1-1 მ 1:100



"თბილისიპროექტი" ბარნოვის-ქ. № 71 info@tbilisiproject.ge 322 400 660	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი
	დირექტორი		ნ. ჭეიშვილი
	ჯგუფის უფროსი		ი. დავლიანიძე
			ე. რაგიმჭილი

ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი

ანახომი	დაკვეთა №	
	სტადია	
ჭრილი 1-1	მასშტაბი	1:100
	ფურც. რაოდ.	11
	ფურცელი	ან-6

ჭრილი 2-2 მ 1:100



"თბილისიპროექტი" ბარნოვის ქ. № 71 info@tbilisiproject 322 400 660	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი
	დირექტორი		ნ. ჭეიშვილი	
	ახომვა შესრულება		ი. დავლიანიძე	ანახომი / დაკვეთა № /
			ე. რატიშვილი	სადია /
				ჭრილი 2-2 / მასშტაბი 1:100
				ფურც. რაოდ. 11
				ფურცელი ა6-7

ფასადი A-D ღერძებში მ 1:100



"თბილისიპროექტი" ბარნოვის ქ. № 71 info@tbilisiproject.ge 322 400 660	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი
	დირექტორი		ნ. ჭეიშვილი	
	აზომვა შეასრულა		ი. დავლიანიძე	ანაზომი — დაკვეთა №
			ე. რატიშვილი	სადია
				ფასადი A-D ღერძებში — მასშტაბი 1:100
				ფურც. რაოდ. 11
				ფურცელი ა6-8

ფასადი 6-1 ღერძებში მ 1:100



"თბილისიჯგუფი" ბარნოვის ქ. № 71 info@tbilisigroup.ge 322 400 660	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მიწის საკ. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი		
	დირექტორი		ნ. ჭეიშვილი			
	აზომვა შეასრულა		ი. დავლიანიძე	ანაზომი	დაკვეთა №	
			ე. რატიშვილი		სტადია	
				ფასადი 1-5 ღერძებში	მასშტაბი	1:100
					ფურც. რაოდ.	11
					ფურცელი	ან-9

ფასადი 1-7 ღერძებში მ 1:100



"თბილისიპროექტი" ბარნოვის ქ. № 71 info@tbilisiproject.ge 322 400 660	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი
	დირექტორი		ნ. ჭეიშვილი
	აზომვა შესრულა		ი. დავლიანიძე
			ე. რატიშვილი

ქ. თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა №22-ში მდებარე (მინის სას. კოდი № 01.18.03.068.003) საცხოვრებელი სახლის დანგრევის ორგანიზების პროექტი

ანაზომი	დაკვეთა №
	სტადია
ფასადი 1-7 ღერძებში	მასშტაბი 1:100
	ფურც. რაოდ. 11
	ფურცელი ა6-10






we're all
mad here


we're all
mad here












ПЕНОПЛЭКС

